სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

ENERGO-PRO GEORGIA

დანართი 2

დადგენილება #ეპ. 0471-20
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ

თბილისი 03 დეკემბერი 2020

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას'' სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების იურისტი - ნინელი ბოჭორიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 03 დეკემბერი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

შპს „პრემიუმ ჰაუსი"

მდებარე: იურიდიული მისამართი -- ქ. თბილისი, სოფელი დიღომი

საიდენტიფიკაციო კოდი #405106503

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი: ქ.თბილისი, სოფელი თხინვალა, ავთო ვარაზის ქუჩა შენ. #101

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

აბონენტ შპს ,,პრემიუმ ჰაუსი''-ზე (აბN4710016222) სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ გაიცა ქსელზე მიერთების დროებითი ტექნიკური პირობა. აბონენტმა მოაწყო აღრიცხვის კვანძი, დაამონრაჟა მრიცხველი, თუმცა დალუქვამდე მიაერთა ქსელზე, მოიხმარდა ელ.ენერგიას, ხოლო მოხმარებული ელ.ენერგია აღირიცხებოდა მრიცხველით. აღნიშნულთან დაკავშირებით 26.11.2020წ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევი ოქმი. შედგენილ სამართალდარღვევის ოქმს #009007 ხელი მოაწერა შპს „პრემიუმ ჰაუსის" წარმომადგენელმა ივერი ბურჯანაძემ (პ/ნ01024008772), რომელმაც განმარტა, რომ აიყვანეს ელექტრიკოსი, რომელმაც მოაწყო აღრიცხვის კვანძი, დაამონტაჟა მრიცხველი და მათი კომპანიის დავალებით მოახდინა სადენების დაერთება. საქმეზე წარმოდგენილია ასევე 26.11.2020წ #712657 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანიის ქსელზე მიერთდა ახალი აბონენტი, დაუმონტაჟდა მრიცხველი, მრიცხველის ჩართვის სქემა იყო სწორი, მრიცხველი მუშაობდა დასაშვები ნორმის ფარგლებში, დროებითი ტექნიკური პირობის ფარგლებში აბონენტმა მოაწყო აღრიცხვის კვანძი, დადგა მრიცხველი, რომელიც ელ.ენერგიას მოიხმარდა კომპანიის ქსელიდან, ელ.ენერგია აღირიცხებოდა მრიცხველით, თუმცა მრიცხველი

დალუქული არ იყო სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ. საქმეში დევს დადასტურება, რომ შპს ,,პრემიუ, ჰაუსს'' ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. სხდომაზე არ გამოცხადდა შპს ,,პრემიუმ ჰაუსის'' წარმომადგენელი, რომელმაც შეტყობინების ჩაბარებისას წერილობით აღნიშნა, რომ თანახმაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა მოხდეს შპს „პრემიუმ ჰაუსის" წარმომადგენლის დასწრების გარეშე. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხებზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ფოტომასალა; შეტყობინება;), რომელთა მეშვეობითაც ვერ დგინდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის დატაცება. შესაბამისად შპს „პრემიუმ ჰაუსის" მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. შპს ,,პრემიუმ ჰაუსს'' სამართალდარღვევა არც მანამდე ჩაუდენია, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 02.12.2020წ ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის თანახმად, სამართალდარღვევას წარმოადგენს ელ.ენერგიის დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს. დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა. სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ასეთ შემთხვევაში (ანუ, სამართალდარღვევის არარსებობის გამო), სამართალდარღვევის საქმისწარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს. ასკ 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა და მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით.

.....

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 332-ე მუხლის I ნაწილი; 228[2]-ე; 230-ე; 240-ე; მუხლებით; 266-ე მუხლის მე-4

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
ნაწილით; სემეკის 12.08.10 #14; 28.09.15 #28 დადგენილებებით; ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 17.09.10 RU #2010009 წესით, 27.06.19 or #2019034 ბრძანებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **შპს „პრემიუმ ჰაუსი" (ს/კ 405106503)** მიმართ შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ასკ 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი გარემოების - სამართალდარღვევის არ არსებობის გამო.

---

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯაროდ გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.#19).

---

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:
ნინელი ბოჭორიშვილი ----------